

ლიტერატური განეთი

№1 (305) 21 იანვარი - 3 თებერვალი 2022

გამოცემის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

გიორგი ლობუანიძე

ელეგია — 1

ჩაყუჩინებული და მოწყენილი,
როგორც ნოემბრის ბოლოს სოფელი,
ხედავ? ის ერთი ვარსკვლავიც ჩაქრა,
მერომ მეგონა ჩაუქრობელი.
და სულში ისე კრუტუნებს სევდა,
ვით ბრიტანული კატა ბუხართან,
ხევრე ქმარივით, რომ სცემდა ჩემ დას,
რომელსაც ისევ ისე უყვარდა.
და მოწყენილი დღების რიგი
ნაიღებს გრძნობებს გადანახულებს,
მითხარი, დაო, რად გვიყვარს იგი,
ვინც ამ სიყვარულს არ იმსახურებს?
მოჭრით მითხარი, ორიოდ სიტყვით,
არავითარი „თუმცა“ „ან „მაგრამ“:
ეს სიყვარული იყო თუ ჩემი
ჩაუქრობელი ვარსკვლავი ჩაქრა?

ყოველი გრძნობა მძარცველია. სწორედ ამიტომ:
წრიალებს გული, ალარ მიღებას შიშით საგულეს.
ნეტავ, რას მერჩი, სიყვარულო,

გვიან მოსულო, —
მძარცველი კარზე ასე ფრთხილად არ აკაკუნებს.
თმაშევერცხლილ კაცს

რალად მინდა ამდენი განცდა
ან სიხარული, ბოლოს თუკი ძრნოლას მომიტანს...
გავყურებ მთებს და ვფიქრობ

კაცის მზერა თუ გასწვდა,
ჩვენი ხეობა ლამაზია შემოდგომითაც...

ცრუ გარიშრაზი

ზოგჯერ ცა ისე განათდება შუალამისას,
კაცს ეგონება,
უკვე ინათა!

არ ხდება ხშირად,
თუმც დღესაც ხდება
და ეს ხდებოდა თურმე წინათაც —

მოვლენა,
რასაც

მართალმა ხალხმა
სწორად დაარქვა

„ცრუ გარიურაჟი“,
მოვლენა, რამაც

ალბათ უამრავს
შეაწყვეტინა

ლამე გიუმაჟი

და წამოჰყარა ლოგინებიდან

ბევრი უილბლო შეყვარებული,
გააცალ კევა ბევრი სხეული,

ბაგე ბაგეზე დაკონებული.

აანრიალა მარტოსულები —

ბნელში, ხმელ ტახტზე მწოლი კენტები,
ისინი, ვინაც ნატრობდნენ: „ღამევ,
გთხოვ, ასე მალე ნუ გათენდები!

მე რომ ჩერქეზეთს გადამკარგავდა,
ზლურბლზე ტორს ურტყამს უკვე ის რაში.

ნაძღვილ გარიურაჟს რომ ვეხუტები,
რას მომატყუებს ცრუ გარიურაჟი?

და სიყვარულიც — ქარონის ნავი —

ირწევა — ცის და მინის ნაზავი,

როს თავევეშ მიღულს მიჯნურის მკლავი

ცრუ გარიურაჟის ნედლი ცასავით”.



ილუზიათა ალუზია

იქ, სადაც სდუმდნენ პირამიდები,
მე არასოდეს დავიბრიდები.
არც წამოვწვები მზისფერ სილაზე,
რადგან რად უნდა არაბს სინაზე?
არც ამბრნი, უმბრნი არ უნდა არაბს.
ნაგავში, მტვერშიც კარგად სცემს კარავს.
რაც კი მოძრაობს, ყველაფერს ეტრფის
და მეც რა მინდა სიცოცხლის მეტი.
მაშ, გამარჯობა, ტკილო სიცოცხლე.
მხედავ, შენ მიერ ქვაზე მინვენილს?
არაბს ვჯობივარ, ამბრნსაც და უმბრნსაც,
რადგან ამდენსანს შენ გაგიძელი!

ცხადი ზაფხულის შუალამისა

აპა, მითხარი — მოუფერებლად და მოურნყავად
როგორ გამეშვი,
გაყუჩინებული, როგორც წალკოტი
ცხელი ზაფხულის შუალამეში.
შუალამეს კი, დანაწევრებულს
ჩქამადენილი ხმების შიშებად,
შენც უერთებდი სუნთქვას იქ,
სადაც ბალის საშიში ფშვინვა იშვება.
და ჩაძირული სიჩრმის შურში,
როგორც უეცრად ატეხილ შარში,
ბალი იხსენებს, რომ იყო შარშან
ალვის ფოთოლთა ლირსების მარში.
ვილაც ალუბლის მურაბას ხარშავს
და როგორც ლექსი, თქმული ათასგზის,
ღამეს მთელი ეს ნახარში სიტკბო
ვნებით განებილ ტანზე გადასდის...

ელეგია — 2

როგორ ზრიალებს ყველაფერი, როგორ მოიწევს
ნამდვილი ხმების,
წრფელი გულის გადასაყლაპად...
გაფითრებულა და სახეზე ხელებს იფარებს
ბავშვი, რომელიც მე ვიყავი გუშინ... ახლახან...
რა სილალეა ბავშვობაში, ედემში, სადაც
ჯერ ისევ ისე უფლის ცრემლით სველია თიხა,
როცა არ ფიქრობ, რანაირად ჩამოგართმევენ,
თუკი ვილაცა
უპირობოდ, გულწრფელად გიყვარს...
ვიღრე სიყვარულს ათასგვარ კუდს გამოაბამენ,
ფრთებს შეაჭრიან და უქცევენ ფაფუკ კუდებად,
რომ ის წაიქცეს ამ კუდების წამოშლილ მტვერში
და ხრიალებდეს, ვიდრე სულ არ გაიგუდება.
და... ალარც ისმის ალარცერთი ნამდვილი ნოტი,
ირგვლივ ისეთი ზრიალია დამშრალ თიხათა...
და ეჭვიანობს მიწა, ცარმ თავის ეკრანზე,
კეთილგანწყობის ნიმნად,
ნათელ მზეებს მიხატავს...

IV-V



ზაზა ბიბილაშვილი

პოეზია,
დანარჩენი ლიტერატურა,
და დანარჩენი
2021

*
შენი ცუდი ლექსის დაწერას სხვისი კარგი ლექ-
სის წაკითხვა სჯობსო.
შენ თუ სხვანაირად გგონია, მაინცო.

*
ეროვნული და ენობრივი პოეზია უპერსპექტი-
ვა. და ეს არ არის გაზიადებით, საკეკლუცოდ ან
იმის იმედით ნათქამი, რომ ასეთი თქმები ამ პერ-
სპექტივას (უპერსპექტივობის) შეცვლის (პერსპე-
ტიულობით). კი, სადღაც შეიძლება ბუტავდეს
სულ პატარა იმედი, რომ მოსაზრება მცდარია, მა-
გრამ გაცილებით დიდი იმედებიც ცრუვდება, რო-
ცა ისინი უნიადავონ.


ხოლო ხსენებული მოსაზრების გამართლება
რომ უდიდესი დანაკარგი იქნება პოეზიისთვის,
ამას თქმაც ალარ უნდა.

*
ახლა კარგი პოეზიის შექმნა თვალთმაქცობაა
— თითქოს ეს ვინმეს სჭირდება, ვინმეს აინტერე-
სებს, მომავლისთვის თავის მოჩვენებაა — თითქოს
მაშინ (დღეს) აი, ასეთ ნიმუშებს იწვევდა გარემო,
მაშინდელი (დღევანდელი) კულტურა...

*
შენ უნდა გრძნობდე, რომ ამას, ამის კეთებას
აზრიაქვს. თორემ ვილაც ყოველთვის გეტყვის, რომ
„პოეზიით სუნთქვას“ და „თუნდაც ერთ ადამიანს
რომ გაულამაზებ დღეს, ამისთვის ლირს წერა“.

*
რატომ უნდა წერო? პასუხად რალაცების მო-
ფიქრება შეიძლება, მაგრამ ფაქტია — ჭირს არგუ-
მენტები. უარგუმენტებოდ უნდა წერო ალბათ.
უარგუმენტებოდ წერა თითქოს ადვილი არ არის,
მაგრამ არგუმენტების მოფიქრებაზე ადვილია.

X-XII





გიორგი ლობჟანიძე

ბაღი უდაპოში

შენ ხარ ქაბას კედელზე ჩამოკიდებული
ბრწყინვალე მუალლაკა,
რომელშიც გვთხულობ:
„არა არს სიყვარული,
თვინიერ ჩვენი სიყვარულისა
და პოეზიაა მისა მოციქული“.

ამის მიღმა უდაბნო იწყება.
უდაბნოში მხოლოდ მირაჟი თუ იხარებს:
ვინ გაიგონა,
ვინ ნახა
ბაღი უდაბნოში?!

შენ კი მეუბნები, რომ
მირაჟიც ბაღია —
სხვა სიამდვილიდან აღმოცენებული,
სხვა მზითა და მთვარით გადანათებული.
სიზმარი შებრუნებული ცხოვრებაა,
ცხოვრება შებრუნებული სიზმარია
და მათ შორის გადის
საღი გონების, სიფიზლის მავთულხლართი.

ჩვენ კი ომიდან ვერგამოცეული ბავშვები გართ,
ჩამონგრეული სახლის რაფაზე მდგარი
და გარეთ შიშით მომზირალი
ქოთის ყვავილები...

არა,
ჩვენ ვართ
დაბომბილ მინდორში
ჩარჩენილი და გადარჩენილი მზესუმზირის
ერთადერთი, ცისკენ დაჭყეტილი თვალი,
რომელსაც ჰქონია, რომ მზე მისი სიზმარია,
სინამდვილეში კი
თვითონ არის
მზის ჭრელი სიზმარი.

ნეტავ ცხოვრება
ფერადი და მარტივი ყოფილიყო
ინდური კინოსაფით.

სწორხაზოვანი:
აქეთ სიკეთე,
იქით ბოროტება
და ეს შავ-თეთრი კონტრასტი
მხოლოდ მელოდრამატულ ცრემლებსა და
მრავალმნიშვნელოვან ცეკვა-სიმღერას ამოევსო.

მაგრამ:
მე ვიყავი მოვალეობების ძელთ შუა გაერული
და ცხოვრება ჩემ წინ ისე ცეკვავდა
შუშის ნამსხვრევებზე,

როგორც
როგორც ქალი ფილმში,
რომელსაც ერქვა
„შურისძიება და კანონი“.
და ყველაფერი ნამდვილი
ისე ყალბად უდერდა,
როცა გავიზარდე,
როგორც სიმღერა კინიფილმიდან
„საბილო ჩემი მეგობარია“,
რომლის მუსიკაც ერთადერთი იყო,
რაც თურმე იავნანასავით
უცებ მაძინებდა
შორეულ ბავშვობაში.

არადა,
ეს ჩვევა ახლაცა მაქვს:
როცა არ მომწონს,
რასაც მიმღერიან,
სასწავლოდ ვიძინებ.
ცხოვრება კი ასეთია:
უგემოვნო ფილმების ხვავიდან
ბოლოს და ბოლოს

სათიაჯათ რეი გაიზრდება,
თუკი სწორ მელოდიას ამოუგებ
ძილში
საბანივით...

აი, გოგონა — სილამაზე,
რომელსაც აპევრია
დედამისი — სიგიუე,
მოუშორებლად თან სდევს და
საზიზდრად იძიებს შურს შენზე,
თუ მის შვილს გაეკარე...
არ შეეხო!
ისინი მიდიან ხელჩაკიდებულები...

და
მუდამ ერთმანეთს განაპირობებენ...
დოსტოევსკიო გაპიჯვინებული
დედა-სიგიუე
სიითხოებს და ამბობს:
„რა სილამაზე გადაგარჩენს შენ —
კაცობრიობავ?!”
არსაიდან მომავალ
და... არსაით მიმავალ
ამხელა შარაგზაზე...“

გეგი აგეალოზი

თავის მოცუცქნულ ოთახში წევს —
თავშესაფარში.
ენევა და ზემოთ კვამლივით მიიწევს ფიქრიც:
რას გამოექცა ამ ბედნიერ გერმანიაში,
სადაც მუდამ დაწანალებს
მაღაზიებში

თავის სარჩენად,
პატარ პატარა სიხარულთა მოსაპარავად.
ფრთხებდამსხვრეულ ანგელოზს ჰეგას:
შეუფერებელ სივრცეშია ჩამოვარდნილი.
ფრთხებდამსხვრეულებს
აქ არაფერ ესაქმებათ, ქურდობის გარდა.
ეს ბედნიერთა ადგილია —
ბიურგერული.

იმათი, ვისმა დედ-მამამაც
ბეგრი იმრომეს
და თავის შეილებს
დაახვედრეს კარგი ქვეყანა,
საათივით ანყობილი,
ნეისერებისა და კანონის დამფასებელი.

ის კი ვინ არის? —
შავტუხაა, შავი თვალებით
და ახლაც მარტო,
როცა ტრუსის ამარა ვდია,
ბრინჯაოსაგან ჩამოსხმულივით ულაპლაპებს
მთელი სხეული...
რომელზეც უჩანს ტატუები —
პოლიციელთა ცემით
დამჩარი
ჩალურჯებები.

აღარაფერზე ფიქრობს...
მხოლოდ
ზეპირად ნასწავლ
ლექსებს დუდუნებს,
ლოცვებივით თუ მინტრასავით...
პოზნა გადაარჩენს —
ასე პეტიონია,
ხავსი,
რომელსაც ეჭიდება სულის სავსავით...

ნუ გეშინია!
ზიანს არა,
ვნებას
მოგიტან...

ეს პარასკევი საკმარისად შავი არ არის,
რომ ჩვენი გული დაუყუჩარ გრძნობამ მოთელოს! —
კლავს დედიდებონას უნაზესი ეჭვიანობით
და თვით უნაზეს ეჭვებითვე კვდება ოტელო.

ანონიმი პერსენ ავთორი საფოს

პოეტთა შორის
დიდებულო,
რამ უნდა მოგელას,
ყველა ლამაზი
ქალიშვილი
შენი ძეგლია.
მზის სხივები
შენს სიტყვებში მიმორხეული...
მათში იღვიძებს
სული ჩვენი პოეზიისა,
დადიან და
ლექსებივით დააქვთ სხეული...

პარალელური წრფეები
ერთულთს
ჩემს გულში კვეთენ,
რომ ამ წრედში
შეუერთდნენ
უსასრულობას...

გზავილი

თუკი ჩემზე დაგავალეს,
ჩვენება მისცე,
ჩემი მიზეზით
თავს ნურავის დაატანჯვინებ,
დანერე, რასაც გიბრძანებენ,
თუნდ ისიც კი,
რაც არ ყოფილა,
რადგან
მთავარი დანაშაული
ნამდვილად მოხდა:
სიყვარული,
რასაც მთლიანად ჩემ თავზე ვიღებ!
შენ არაფერ შუაში ხარ,
იმ ადგილას
შემთხვევით მოხვდი,
სადაც მე უცებ
ანგელოზის ფრთებს გამოვედე!

შვილო ჩემო!
სილმეებში თუ არ გამოგყვნენ,
ადამიანებს ნურასოდეს გაუბრაზდები.
მათ ხომ გველივით ეშინიათ
სილმეებსა!
ზედაპირის ხალხია ესენი —
ჩალის წერივით
ტალის ფრთებზე ასწრაფებული
მიიან და მიმღერიან
და თუ ხანდახან
ჩაყინთავენ,
მხოლოდ იმიტომ,
რომ ტალდას უფრო გააფთრებით
მოქცენებ თავზე
და ეს ტალდა
თვითონ
ზღაპრული რაში ჰაბინიათ,
საოცნებო მომავლისკენ
რომ მააქანებთ,
შვილო ჩემო!
არც თანაგრძნობა გინდოდეს მათგან!
რადგანაც
ამ თანაგრძნობას
ჭრილობაზე პლასტირივით გადაგარავენ,
თითქოს ნაკანრი იყოს,
ნაკანრი
ეს სიყვარული...

პაიკუ

თავს ვგრძნობ,
როგორც ფულზე გამოსახული წმინდანი,
რომელიც გაიძვერა მდიდრების ხელშია
და პატიოსან დაიბების
ვერაფრით ქმარება.

მიკვირს თქვენი,
ვინც სიყვარულში ინარჩუნებთ ზომიერებას,
ვინც რჩებით მუდამ სანიმუშოდ თავდაჭერილნი...
ისრაელიდან სააღდგომოდ ჩამოტანილ
ცეცხლში ჰყოფთ ხელებს...

და გიხარიათ:
არა წვავს,
არ წვავს...

შენ წინაშე ვდგავარ,
როგორც უფსკრულის პირას.
რა შეაში ხარ შენ?
სიყვარულმა
შემასხა ფრთები...

რა ჭკვიანები ხართ,
დავარცხნილები,
ლამაზები,
მოწესრიგებულნი.
როგორ კარგად ათავსებთ
თქვენს შიგნით პირზის სიმართლეს
ამქვეყნიური ზაკვის სიცრულესთან.
საერთოდ მაღლა დგახართ ამ ყველაფერზე,
და კუდს რომ მოიწევთ,
უფრო მაღლაც შეიძლება ასწვდეთ
და ყავარზედაც გადოთ
ეგ თქვენი ფუმფულა, დავარცხნილი კუდები,
რომელთაც სახურავის მტკვერი არ ეხება
და თუ მაინც შეეხო,
ისე ბრძყინავს,
თითქოს ბენვში ვარსკვლავები გიციმციმებდეთ.

განვითარება

აი, ძუიდან სამი ბენვი გამოვიწინკნე

და გაძლევა:
ბენვი ცეცხლს მიეცი,
თუ გაგიჭირდა,
და იმ ნამსვე
შენს საშველად
შენთან გავჩნდები...

მერე რა, რომ
ზღაპრულ რაშად ვერ გამოვდექი,
და ამ რაზე ამხედრებულ
უფლისწულად
ხომ — მითუმეტეს.

ჩვეულებრივი ვირი ვიყავი,
„მაგდანას ლურჯა“,
მანვნის ქილების
უდრტვინველად მატარებელი.

22 წელიწადი ვზიდე ქილები...
და წლითი წლობით,
ვეღარ ვხვდები,
შენ თუ ეს წლები
ტვირთს სულ გულგრილად მიმატებდით:
ვირი ვიყავი!

წმინდა ქალაქში კი შედიან ვირზე მსხდომები,
მაგრამ
ალთქმულ თუ წარმოსახულ სასუფეველში
ქვეითად,
ფეხით მიმავალი უნდა შეპრძანდე,
შენივე გარჯის ყავარჯენზე ჩამოყრდნობილი.

გეჩვენება და განგაშს ტეხს, რომ
ზურგი გაქციე!
სინამდვილეში
ზურგს გიჩვენებ,
რომ დაინახო —
ტვირთის თრევით
როგორა მაქვს დაწყლულებული.

და რადგან ჩემი სიცოცხლეც
ახლა ბენვზე ჰკიდია,
გაძლევ სამ ბენვს,
რომ, თუკი მართლა გაგიჭირდება,
ცეცხლს მისცე და
იმავე წამს
შენთან გავჩნდები...

გ. ე.-ს

თუ შეც იმისთვის მიახლოვდები,
რომ მიმატყვო,
ნუ იტყვი მაინც,
რომ მომატყუე
მრავალთა მსგავსად...

ნუ იქნები
ზურგში
ხანჯალი.
პირისპირ დავსხდეთ
და მე თვითონ შემოვალ
მაგ თვალების ტბაში...
ნურავის ეტყვი,
რომ შენს ფსკერზე ვარ....
გადამაფარე
მაგ ჭკვიანი
მზერის ტალღები...

მანანა ზარიძეს

ხანდახან ისე მომენატრება
შენი სიცილი,
ვიმეორებ შენი სოფლის სახელს
და მყისვე
სიხარული გაინკრიალებს,
როგორც მონეტა,
ქაფენილზე ჩამოვარდნილი...
კოთელია —
ამ სიტყვაშია შეფარული შენი სიცილი
და ნაადრევი ბორცვი —
როგორც
უმწეობის ხორკლიანი
გორგალი
ყელში მძიმედ გაჩრილი...

არაზია

მდინარე, სადაც
ნაპირზე ამოყრილი თევზებივით
ცოცხლდებიან სიტყვები,
მკვდრები რომ გვეგონა
და მაინც საეგებისოდ ჩავაბრუნეთ წყალში...
ცოტა ხანს იტივტივეს ზედაპირზე
და უეცრად კუდები შეარხიეს,
გასწორდნენ და
გაცურეს სილრმეებში.

თევზებს პირი წყლითა აქვთ სავსე,
თორემ რამდენი აქვთ,
ვინ იცის,
სათქმელი...

ფოთოგადაღება

ამ სურათზე ბედნიერი
უნდა გამოჩნდეთ! —
მეუბნება ფოთოგრაფი:
— რაც შეგიძლიათ, გაიღიმეთ!

მეც ვიღიმები,
მაგრამ თვალები აღარ მიცინის.

დაბწეული ვიყურები

და სიხარულდავინყებული.

ერთი ანდაზა მახსენდება,

უსასატიკეს:

ბებერი მოტყნეს

და კარები გამოუხურეს.

ბოლომდე არც შესმის,

რას ნაშნავს?

რა შემთხვევაში,

როდის ამბობენ,

ისიც არ ვიცი...

მხოლოდ მოხუცს ვხედავ კარს მიღმა —

გაოგნებულს,

თავზარდაცემულს,

თვალებში რომ სიხარული

უბრნყინავს მაინც...

ხანდახან მგონია:

ხელს რომ გადაუსვამ,

ყველაფერი გაქრება

ქაფენით,

გარდა იმ სიტყვებისა,

რაც გულში ინერება:

გულში,

გულისთვის ნათქვამი

სიტყვებისა.

ვინ იცის,

ამოვლენ

მარტში

ის ზამბახები?

იქნებ ახლა

მინისქვეშ იშმუშნებიან მათი ღეროები

და მოდიან,

მოდიანია ცეცხლისფერი

მელნისფერი ვალკანებად...

როგორც ეს ლექსი

შენზე

ან არაფერზე.

სიხარულმა გულზე ისე აინია,
როგორც ფეხისნერებზე
პატარა გოგომ
და სხეულის ფანჯრის მიღმა გადაიხედა.

იქით
ფერადი,
მოზემე ქვეყანა ჩანდა...
მაგრამ
ნაცნობი,
მეგობარი
არ ერია მოზემებებს
და იყო ასე —
უცხოების დღესასწაული,
როცა (ცდლობ,
სხვისა ლხინ გაზიარო,
მიხვალ ბრჭყვალში,
მთელი სახე გიცინის
და მაინც მარტო ხარ...

აგლაონება

ბაგაში მწოლივით
ავეურებ
ჩემი ბინის წინა პატრონის მიერ
ჩემი ოთახის ჭერზე დამაგრებულ
ხელვნურ ვარსკვლავს,
რომელიც ახლა
სწორედ სანოლის თავზე მიპრენიავს
შობის ვარსკვლავით.
და ვკიქრობ:
„მაინც რა ცივი და

ნესტიანი თვეა დეკემბერი!“
ადრე აქ აღბათ, ყმანილების ოთახი იყო,
ამიტომაც მოურთავთ
მზრუნველ მშობლებს
ჭერი ვარსკვლავებითა და პლანეტებით...
ჩემს ხელში კი ყველა პლანეტა ჩამოვარდა
და მხოლოდ ეს ერთი ვარსკვლავილა დამრჩა
ზუსტად თავით.
ორი კვირის წინათა
ჩემს ხელში მოასაცავს უცნაური სახელი ჰქონდა
რომელსაც უცნაური სახელი ჰქონდა —
აგლაონება —
და რომელიც თურმე
მიკრობებსა და სიგარეტის ჭვარტლს
შთანთქაეს და ანადგურებსა,

ხმობა შეპეპრევით.
ცოლი მეუბნება:
„უნდა გავიტანო
ეს აგლაონება აქედან!
ვერ ძლებენ და ხმებიან
შენ გვერდით ყვავილები!“
ეს სიტყვები
მეც პოეზია მეგონებოდა,
ასეთი მნარე სიმართლე რომ არ იყოს —
ნამლის კაფსულისგან
ენის წვერზე დატოვებული
მძალე გემოსავით.
ვერც პლანეტები ძლებენ და ცვივიან.
მხოლოდ ეს ერთადერთი
ხელოვნური ვარსკვლავილა შემომრჩა
დეკემბერში.
და რა მოხდა მერე?
ეს ერთიც სრულად საკმარისია,
რომ ისიც და

ჩემი თავიც

ალმისავლეთის ვარსკვლავი მეგონის

და ვიფიქრო:

ყოველი,

ვინც მე მკარგავს,

ისე, თითქოს,

გულის ჯიბიდან

მობილური ტელეფონივით

შემთხვევით ვუვარდები,

ცოტა ხანში აღმიაჩჩნის,

რომ მთელი თავისი კონტაქტები

სწორედ ამ ტელეფონში ჰქონდა ჩანიშნული“.

ცხოვრება

ნეტავ არასდროს შემხვე

ଭାବାର୍ଥ

ბერულას თავზე ჩავიარეთ, რამდენიმე ცხედარს მოკვარით თვალი და ფეხები ლა-
მის მომევეთა. ეგრე უპატრონოდ ეყარ-
ნენ, საწყლები. დამარხავიც არა ჰყავდათ.
უჩუმრისპირად ჩავიარეთ სოფლის ორლო-
ბე, ყველა მიტოვებულ სახლში სიკვდილი
იყო მასპინძლად. სოფლის ბოლოში ტანკე-
ბით აზელილი, შეთვალებული ვენახები გა-
ვიარეთ.

ომი იყო, უპედურება, ცხედრებით მო-
ფენილიყო სოფლები, მაგრამ ტანკებით
დასრუსილი ვაზი მანიც მზეს ულიმოდა, ეს
იყო სიცოცხლის სიკვდილზე, სისხლა და
ცრემლზე გამარჯვების მთავარი ნიშანი.
გეგონებითა, ყველაფერი სიზმარში ვნახე
და შინ ვპრუნდებოდი, ისეთი ხალისი დამი-
ბრუნდა ვენახის დანახვაზე.

საცა სიკედილსა და ვაებას გაჩვენებს
უფალი, იქვე სიცოცხლის კელაპტარსაც
მოგაჩერებს. ვიგრძენი, რო სიკედილს თავი
დავალნიეთ...

* * *

მიფანტულ-მოფანტულები იყვნენ ჩვენები. რო მოვდიოდით მე და ჩემი ქალი, მეგონა, ჩვენს თანასოფლებებს, ჩვენს მეზობლებს კველას ერთად ვნახავდი. იქიდან ხო გამოგვრეკეს, ეგრე ნიშადურამოსმულები, ცარიელ-ტარიელები და აյ უარეს-ად მიგვფანტ-მოგვფანტეს. სანყალ ხალხს, უსახლეკაროებს, მშეორ-ტიტვლებს ანგარიშს არავინ უწევს, ხო იცი. ჩვენც ეგრე ვიყათ ნახირივით, ხან იქით მიგვრეკავდნენ, ხან აქეთ მოგვრეკავდნენ. სახლები და ურიგეს ვითომა, — ხელი ჩაიქნია დათამ, — თან აყვედიდნენ კიდეც — „რო გამორბოდით, რას გამორბოდით“.

ომი რო დამთავრდება, სარღლა რო შენ-
ყდება, მერე სოკოლებზე სწრაფად ჩნდები-
ან გმირები. არადა, ნემსის ჩხვლეტასაც
ვერ აიტანენ თავიანთ სამშობლოსთვის.
ცოცხალი კი ვიყა, მაგრამ იარე ეგრე დამყ-
აყებული სისხლით, როგორია... ის ბიჭის
ამბავი არ მასვენებდა, ჩემ მარანში რო გა-
ვუთხარეთ საჯლავა. ცხადშიც ის მიღდა
თვალნინ და სიზმარშიც. ვინ იცის, როგორ
ელოდა უგზო-უკვლოდ დაკარგულს ოჯ-
ახი. სადღაც მიგვიყვანეს, ძველი საბავშვო
ბალის ქენობა იყო. ჩემმა გოგოებმა და სი-
ძეებმა ერთი ამბავი ატეხეს, მაგრამ ვერც
ერთის კარზე ვერ ვიქნებოდი, იცოდა რუ-
სიკომ ჩემი ამბავი. იქ ყოფნას არაფერი
ჯობდა, თოხ-თხხი შვილიშვილი მყავდა და
ცოტას გულს გადავაყოლებდი, მაგრამ ვი-
ცოდი, რო სიძეების ჭერქვეშ ვერ გავათ-
ევდი ლამეს, იმათ თავიანთი ოჯახი ჰყავ-
დათ. რა ვიცი, — მხრები აიჩეჩა დათამ, —
სხვამ კი არ უნდა გითხრას, რო ზედმეტი
ხარ, შენ უნდა იგრძნო ესა. შვილისთვის
მშობელი ზეთმეტი ბარაკი არასათროს იქნე-

სისტემა უძრავი ციფრული მოწყვეტილობის და განვითარებას, მაგრამ შენ თვითონ გინდა, რო მყუდროება არ დაურღვიო, შენთვის იყო, შენთვის ეგდონ და მორჩია. აიბრუსხნენ ჩემი გოგოება, გადმიყორება ცრუმლები, სიძეებიც აიძცვირნენ, მაგრამ ეგრე გვერჩია მე და რუსიკოს. მოგვიტანეს საჭმელ-სასმელი, ლოგინები და შევეხიზნეთ ძველი საბავშვო ბალის შენობას. კარგა ხანი იყო გასული, რაც აქ პატარებს აღარ ერბინათ, მაგრამ ბაყშვების სუნი მაინც შერჩენდა აღა-აღა-აღ ნალესჩამოცევენილ კედლებს. სიცოცხლის სუნი ტრიალებდა ძველ შენობაში.

სანამ საბაკშვილი დაგვტოვებდნენ, ჩემი გოგოები და სიძეები გვიანობამდე იყვნენ. გაგვართეს, ათას რამეზე გადაგვატანინეს მე და რუსიკოს ფიქრი, ვითომ გადაგვატანინეს. ყველაფერნართმეული კაცი რაზე იფიქრებს? თეთრი თვალით გავათენეთ ის ღამე, თუმცა მარტო ის ღამე? სულაც ეგრე ვათევდით. ძილი არც მე მე-კარგბოდა და არც ჩემ ქალს.

ჩამერალ-ჩანავლებულ კოცონთან რო
ზის კაცი და სულს უბერავს ნაღვერდალს,
იქნებ როგორმე ცეცხლს თავი ააწევინოს,
ჩევნც ეგრე ვიყათ. იმედს ვუბერავდით მთ-
ელი ძალით სულსა. ცოტას ნამიღებდა ძი-
ლი და, ცეცხლმოვიდებული სახლების
ტკაცა-ტკუცი, ხეობიდან გაქცეული ხალხ-
ის ტრიოლ-ევნესა ჩამესმოდა, ხან იმ ბიჭის
უკანას კველი ამოხრიალება, ჩემს მარანში
რო გათავდა, ხან ჩემი მიტოვებული ხარის
გულსა კლავი ბლავილა... ნამოვხტებოდი
ეგრე გიუკივთ, დაფეხობული, თვალებდაჭ-
ყეტილი, ჩემს ცოლს დავხედავდი, რომელ-
იც ჩუმად, უხმიდ ტიროდა და სამადლოთ
მოცემულ სანოლში დარდით და ვარამით
იღმურობოდა.

ცრემლებს დამალავდა და აქეთ მე და-
მიწყებდა დამშვიდებას.

— კაცი ხარ, კაცი უბედურებაში იცნობა!

ერთი სული კი ჰქონდა, როდის გათენ-
დებოდა და მოგვაცითხავდნენ ჩვენი გო-
გოები... რამდენი ხანი ვიყათ საბავშვო ბა-
ლში?! — ჩაფიქრდა დათა, — მგონი, სამი
თუ ოთხი კვირა დავგრჩით. სხვებიც იყვნენ
იქა, ოლონდ ჩვენი თანასოფლელები არა.

ଅର୍ତ୍ତ ମେଜ୍‌ଜେରା, ରା ଉପରେ ଦୁର୍ବେଳ ଏକ ଧାରଗ୍ଵାତ୍ୟପଦ
ତାଙ୍କୁ ଓ ରାମଦେଖିନିମେ ଡଲ୍‌ଶି ଲାଲଦାତ ଉକାଳ
ଧାରଗ୍ଵାତ୍ ଦର୍ଶନ୍‌ବେଳେ-ମେଟ୍‌ଜୀ, ମାଗରାମ, ଏତେ, ଧାରା
ବିନ୍ ସାଫ ଧାରାତ୍ ଦର୍ଶନ୍‌ବେଳେବୁ, ଲାମିଲେ ତିତେବୀ ଧାରା
କ୍ଷାମ୍ଭେ ହିସମା ଗ୍ରଂଗୋଦମା, ଶାଲକୋ ରାଶ ତିପ୍‌ଯୁଗିଲେ
ଅମନ୍‌ଦ୍ୟୁମ୍‌ବେଳେତୁ ବେ ଆରା ଚାରତ, ସାଦାଚିତ୍‌ରେ
ଦାଲଶି ରାତ୍‌ରୁ ଉନ୍ଦର ଉନ୍ଦର ଉନ୍ଦର ଉନ୍ଦର ଉନ୍ଦର ଉନ୍ଦର
ଅର୍ତ୍ତ ମେ ବିଷ୍ଣୁ ନାମଶ୍ଵଲ୍‌ଲ୍‌ଲ୍ ଓ ଏଥ ହିସମି ତୁଳନା
କାହିଁ ବେ, ବେ ବେ କାହିଁ ବେ, ହିସମି ଉତ୍ତରେ ଜୀବିତି ଧାରା
କ୍ଷେତ୍ରରେ ନାତ୍ରେବୀରା. ରା ତିପ୍‌ଯୁଗିଲା ବେଳମ୍‌ଭେ, ମାରତ
ଲା ଗର୍ଗେ, ଶାକାରୀ ତାହ ଆରା, ଶାକିଲୀ ମାନିନ୍
ଶେବେପରେ ଧରନିତ ମେ ଓ ରାତ୍‌ରୁ ବିଷ୍ଣୁ. ମିଳିନିତ
ଧରନିତ ଓ ଉତ୍ତର ଉତ୍ତରେ ବେ ବେ ଧରନିତ
ଧରନିତ ରାଗମର ଉନ୍ଦର ଉନ୍ଦର ଉନ୍ଦର ଉନ୍ଦର
ଅର ଧାରିଜେରା, ରା ଧରନ ଧରନ ଧରନ ଧରନ ଧରନ
ଇବୁ, ଧରନ ଧରନ ଧରନ ଧରନ ଧରନ ଧରନ ଧରନ
ବିଷ୍ଣୁ, ମେ ଧରନ ଧରନ ଧରନ ଧରନ ଧରନ ଧରନ
ଧାରା, ଧାରାତ, ବେ ବେ ବେ ବେ ବେ ବେ ବେ ବେ
ବେ ବେ ବେ ବେ ବେ ବେ ବେ ବେ ବେ ବେ ବେ ବେ ବେ

ავდა. ცხონებული მამაჩემი მეტყოდა ხოლმე, „მართალი კაცის საქმესა, ღმერთი არ წაახდენსაო“. რატო მოხდა, რატო დაგვე-მართა ესა, რა დანაშაული ჩავიდინეთ ისე-თი გამჩენის წინაშე, რო ეგრე საკუთარ სი-ზმრებში ჩახარშვა მოგვისაჯა. დღეზე მე-ტად ლამე შეგვაყვარა. მზე იმედად ამო-ცურდებოდა ხოლმე, მაგრამ დევნილობა-ში დაბერებული ყოველი დღე უარესად მტანჯვადა. იმ დღეს ხო აღარავინ დამიპრ-უნებდა ჩემს კერაზე. ჩვენი ცოდვები ავი ქოფაკებიყით ჩვენვე მოგვისია ღმერთმა, შემთხვევით ჩიტი არ გაძვრება ლობეში და არც ეს ჩვენი უბედურება იყო უმიზეზო.

ჩემი ხარის მონატრებამ გადამაწყვეტ-ინა მოზვრის ყიდვა დევნილობაში. სახლ-კარზე და ბაღ-ვენახზე ისე არ მედარდებო-და, როგორც ჩემ მიტოვებულ ხარზე. როგ-ორ გავიმეტე, როგორ მივატოვე ჩემი ერთ-გული ნაპოვნელა, ვერ ძეპატიტებინა ჩემი თავისთვის. სულ იმისი ნისლიანი მზერა მე-დგა თვალწინ და გულსაკლავი ბლავილი ჩამესმოდა.

— მომეკიდა ხელი და წამომეყვანა მა-
ინც, — რამდენჯერმე რუსიკოს გასაგო-
ნადაც ვთქვი.

— სად უნდა ნამოგეყვანა, კაცო, ჩვენ
ძლიერს დავალწიეთ თავი იმ უბედურებას,
ხარი სადღა უნდა გეტარებინა?!.

თოკი რო ძევაგური და ხაძოვედი, ხარს
ერთი ნაბიჯიც არ გადმიუდგამს ჩემსკენ,
თითქოს ვერ იჯერებდა, რო გადამთივლ-
ებს სახაშლამედ დავუტოვდი. იდგა და გა-
მომცეკვროდა, ალბათ, ფიქრობდა: „გული
არ მოუთმენს და მოტრიალდება“, მაგრ-
ამ მე უკან ალარ მიმიხედვას, არც ხარი გა-
მომკიდებია, მხოლოდ მისი ბლავილი მო-
მესმა რამდენჯერმე. იმ ბლავილში იყო ყვე-
ლაფერი მოქცეული, დამშვიდობებაც და
საყვედლურიც, სიყვარულიც და წყენაც.

კუთხე-კუნტფულს მოვიცლიდი ხოლმე
ფიქრებში, მანამ ჩამეძინებოდა. მთელი
ლამე ჭოტივით ვიყა და დილით თუ ნამთვ-
ლებდა. ეზო-კარს შემოვიცლიდი, ერთი
გოჯი არა მრჩებოდა უნახავი, როგორც კი
ბოსელთან მივბობლდებოდი, ვეღარ ვუ-
ძლებდი, ნაპოვნელას ბლავილი ჩამესმო-
და და წამოგხტებოდო. ავდექი ერთხელაც
და როგორც გითხარი, მოზვერი ვიყიდე,
დარღი და ტკივილი რას არ მოაფიქრებს
კაცს. ჩემმა ცოლმა კონტლია წაიკიდა, სად
უნდა დამება, ბოსელი მქონდა თუ... მაგრამ
თანდათან დამშვიდდა, იცოდა ჩემი ამბავი
და იფიქრა – „ჯანდაბას ამისი თავი, გულს
მაინც გადააყოლებსო“. ხომ გითხარი,
ერთი წერილობისგან ვიყიდე მოზვერი.
დევნილების ჩასახლებაში სარწყავას ასუფ-
თავებდნენ დიდი ტრაქტორებით. ჩაჭაო-
ბებული არხი ჩამოდიოდა. ის კაცი, ვისგან-
აც ძოზვერი წამოვიყვანე, იქ გავიცანი. ჩე-
მზე ცოტა უმცროსი იქნებოდა. რა თვალ-
ზე შეგხედე მოზვერს, რო აბალახებდა. ნა-
პოვნელა დამიდგა თვალწინ. ხომ არა ყი-



გიორგი სოსიაშვილი

ნავოვენილა

რიელი რო დარჩები... შინ რო არა ხარ, არა
ავინა ხარ, ეგრე ვიყა, ჩემს არემარეზე რი
არ მედგა ფეხი, ვგრძნობდი, რო არავინ ვი
ყა. ეს გრძნობა მკლავდა, ეს მიღებდა ბო
ლოს. რადას ხალისი უნდა მქონოდა, და
ვიძინებდი, იქ ვიყა, გამოვილვიძებდი და ძვ
ელი საბავშვო ბალის ჩამოფხავებულ კედ
ლებში, პატიმრებივით შევცეკროდით შე
და ჩემი ცოლი ერთმანეთს და ის მე მამხნ
ევებდა, მე — იმას...

— ՐԱՅՈ ԱՐՈ, ԱՐՈ, ՐԱՅՈ ՄԻՏԱՎԱՐՈԱ, ՀՅՈՎԵ

ლები ვართ, მთავარია, შვილები და შვილები
შვილები არიან კარგად სიკედილს არ ეშ
ველება, თორე, — ეგ იყო ჩვენი სათქმელია
სინამდვილეში ორივეს სულბი ჩაგვდიოდ
თვალებიდან ჩანურული ცრემლი. მერა
ერთ დღესაც დაგვატოვებინეს საბაზვები
ბალის შენობა. დევნილებს უხაროდათ, არ
იქა, ხო არ გვაპრუნებენო. სულ მაგაზე იკ
ლავდნენ თავსა, ჩვენი დარწით დღე და
ლამე აღარ ეძნათ. ავიკრიფეთ გუდა-ნაბა
დი, რაც კი გვექნდა ჩვენი გოგოების მო
ტანილი ტანსაცმელი, ლოგინი თუ ჭურჭე
ლი და აიგვიკრეს თავი, ა, კოდაში. პატი
მრებს რო გაუყენებდნენ ხოლმე ეტაპი
შორეულ ციმბირში, ისე ვისხედით ავტო
ბუსში მე და რუსიკო, თავ-პირი ჩამოგვტი
როდა. შევაპარებდი მზერას ჩემ ცოლს და
ცოტადა მაკლდა, რო ხმამალლა არ დამენ

ყო ტირილი. იმასაც სეტყვის ღრუბელი ჰქონდა თვალებში, მაგრამ მაინც მამხნევებდა:

— မარტო ჩვენ ხო არა ვართ ესეთ დღე
ში.

ალარც ნუგეშს ჰქონდა ფასი, ორივე
ვიცოდით, მაგრამ რა უნდა გვექნა, ჩვენ
ტირილით ვის აუზუყდებოდა გული. ორთა
სიტყვით, დედაბრის თვინიერ ხბოსავით
შემაგდეს დევნილების იმ პატარა ქოხში

თავიდან რო ვახსენე.
დარდი სიბერის ელმავალია, ხო იცი
ვერ წარმომედგინა, რო აქ უნდა გამეტარ
ებინა ჩემი წუთისოფლის დარჩენილი წლე
ბი.... უცდათ გაფრინდა ოვეები. მიღველფ
ილ, ფერფლიან სულში იმედი მაინც ბუუტ



ნატალი დარასელია

რა ვჭამო? — იყითხე და
ცარიელ მაგიდასთან ჩამოჯექი.
მე ვიყავი შენი შიმშილისან ძალიან შორს
და შენი ცხოვრებიდან ძალიან გაგდებული.
არასდროს ვყოფილვართ ერთ ჭერქვეშ და
ერთ საწოლში.
მხოლოდ ცა გვქონდა საზიარო.
შენ სადღაც არსებოდ.
მე დღემდე შენი სადღაც არსებობის მყითხავი ვარ.
ვეითხულობ ქუჩაშინ ბუმბულებზე.
ბოშა ქალივით მივსდევ გამვლელებს
და ვმათხოვრობ ხელისგულებს.
მე შენი გრძნობების ნათელმხილველი ვარ.
ზიხარ და ფიქრობ, რა ვჭამოთ და
გახსენდება, კარადაში,
ათას ხარახურას მიღმა,
დევს რამდენიმე კომშის კომპოტი და
ჩემი დაკონსერვებული გული.
მიირთვი.

ვარსებობ, რადგან არსებობით დამასნებოვნეს,
რადგან თვალია მკედარი მქენია. ნაცვლად ყვავილის
გულზე ქვა მანევეს: „არასოდეს არ ვარსებობდი“ —
დაბადებიდან მოკლული და შორს წაყანილი.
ვიდრე ქრილობას პირი უჩანს, უნდა შევძლო და
გავუჩინარდე უფსკრულების იავნანაში,
რომ მძიმე მხრებით ღმერთისაკენ ფრენა შემძულდა
და მით უფრო, შევიძულე ღმერთით თამაში.
როცა იხრიბობ, საკუთარი ტანის ცხრაკლიტულს
ვერ არგებ ვერც ერთ გასაღებს და როცა თვალია
წევხარ კუბოში. არ არიან, რომ მოგაკითხონ.
აქ ალარავინ ალარა — ანუ ხალია.
ანუ სხვევია. მე არა ვარ და არც ის არის,
ვისაც ვეძებდი. შიშია და შობა ამ შიშით.
ვარსებობ, სანამ გასროლილი შავი ისარი
სულს ერთიანად დამისერავს და დამამშვიდებს.

მოსალამოვდა.
შენს ელვარე სხეულს ვერ გათქამს სარტე,
რომელშიც მარტი ჩანხარ.
ისე ცხელი ხარ, როგორც ივლისის თვეში ქვიშა...
შენი ბაყვები —
მდუღარე წყალში ჩაცვენილი ლაყე კვერცხები —
ცახცახებნ და მოლოდინის ოფლში წვებიან...
ის კაცები კა, ვისაც ხედები,
ვისაც ეხები გამობრილ შარვლის ტოტებზე,
რომლებსაც ხშირად ვნებით ისიზმრებ,
ამ სიცხადეში ვერ გადმოდიან...
იხდი.
ქაღალდი თუ აგიტანს დედიშობილას,
როცა იგება აღგზებისან შენი ღრუბელი
და სადაცაა გასკდეს უნდა...
ამ ტიხარს მიღმა რა ქვეყანაა?
ამ კედლის იქით დაცოცავენ კიბორჩხალები
ბასრი საცეცით,
მაგრა სხინასავით შენ არავის აღარ დაექებ,
რადგან კაცები თოთქოს და ტყეში ნადიობენ,
ერთი სული აქვთ,
შუბზე მტკიცებულად წამოგაცვან და
დაინაყრონ სექელი...

შენ კი დადექი მერე ტყეში გამოშიგული
და დაიძახე, რომ რაღაც მოხდა სიზმრის მსგავსი...
რომ ახლა ჭეშმარიტად მოშორდი
ზღაპრებსა და ფერიებს.
რომ ახლა უკვე ალიბი გაქვს, როდესაც ამბობ,
რომ ამ სამყარომ ყელში უნდა ამოგიყანოს
ყველა ჩავალი, ყველა ოფლი,
ახლა ღამეა...
დფახარ სარეის წინ და საკუთარ სიშიშვლეს გლოვობ,
რომელსაც ვიღაც ისე მოგთხოვს,
თითქოს დაკლულ ქათმი იყო,
რომელსაც მდუღარე წყალში ამოავლებენ და
სათითაოდ დაცლიან ბუმბულს...
თითქოს, ამგვარი გახდა შეგეძლოს...
თითქოს ეს ისე მარტივი იყოს, როგორც ღუმელში
ცომით დამძიმებული ტაფის ჩადგმა,
რომელიც რამდენიმე წუთში გაიწერუნებს და
ცხობა დასრულება.
ვინ გაცდის, შენი დამტკრეული ნანილები შეკუნინო,
ვინ გაცდის, შენი დაბერილი ძებუსტავები
თავის ადგილას დააბრუნო,
როცა დაშლილი ხარ...
ვინ გაცდის, ამდენი ხნის უმოძრაო ფეხები
ისე ჭრალით გაშალო,
რომ შენი მოცახცახე ბაყვები
არ დაიმტკრენ წუშის რტოებივთ.
ისლა დაგრენია, თვალები დაბუჭო,
მაკაფიოდ წარმოიდგინო ვიღაც,
ვის სახელსაც ქაღალდზე დაწერ
და ამ ქაღალდზე ისე განვები, თითქოს,
ვიღაცის შიშველ სხეულს ეწებები...

უკანასკნელი თარიღი მეგობრებს

ქვირფასო მეგობარო, იქსო!
ცხოვრება წავიდა ისე, რომ ოქტომბრის მიწურულს,
სადღაც მიწურიდან
მწერიჭამია ყვავილებით გარშემორტყმული,
ხორცით მომკედარი, ჯერ ისევე მფეთქავი გულით
გამოსათხოვარ, უკანასკნელ საუბარს გიქსოვ!
ძვირფასო მეგობარო, იქსო!
გუშინ მინდოდა, მომეყოლა, რომ ეს ქალები და კაცები
როდესაც მასხედან
ზურგზე და მხრებზე და თეძოებზე,
როგორც ქანდარაზე ქათმები —
ვერ ვაღწევ რომანტიზებული მახიდან.
ვმთავრდები.
მე მინდა, ჩემი მარადიული საწოლი იყოს ყვითელი
და ჭიანჭველები ეხატოს,
ძვირფასო მეგობარო, იქსო,
მინდა, შენ ჩამაცვა
რომელიმე დიზაინერის ბრენდული კაბა და
ბრენდული სუნამო მაპურო,
რომ ჩემი სილარიბის სურნელი გადაფარო.
შენ თუ აიღებ უკანასკნელ პასუხისმგებლობას ჩემზე,
როგორც მწერიჭამია ყვავილებზე შეყვარებულზე.
ძვირფასო მეგობარო, იქსო,
რადგან შენს გარდა აღარვინ კითხულობს ფურცლებს,
რომლებზეც ვწერდი განტოლებებს,
რადგან მრცხვენოდა,
ჩემი ტკივილი გაცდენოდა ზნეობრივ ჩარჩოს
და საკუთარი თავის გარდა,
ყველას თავი და საკუთრება იმდენად დავრჩი,
რომ ვეღარც ვარჩევ.

ბოლო წერილს მე ვწერ,

თუ ვინმე იმ ქალთაგან და კაცთაგან,

მხარზე რომ მაზის?

ადრე კია, რომ უფრო მყარად ვიდექი, თუმცა ახლა,

როდესაც რომელილაც თეთრი ფხვნილით და

ხის კოვზით ვურევ ჭიქაში ცრემლს,

იასამინისფერ სისხლს,

რომელიც ვერც ერთ კაცს წავცხა,

ვგრძნობ, როგორ ნადვლიანად მიყურებს

თავად სიკვდილიც,

სულაც არ ახარებს ეს ჩემი მარცხი...

სიკვდილმა უცებ არ იცის მოსვლა.

სიკვდილი მაცდის, სანამ ტუალეტში ათჯერ შევალ და

ათჯერ ვალებინებ ბავშვებს ჩემი მარჩევიდან,

რომლებიც მე ვარ,

ბავშვობაშივე სიკვდილისთვის დატოვებული.

რომლებიც ძალზე მძიმე იყვნენ,

ისე მელაგნენ საშვილოსნოში,

როგორც დაბლუდებ დამპალი საზამთროები.

თუ ურევია ამ სასტიკ რეალობაში უფლის ხელი?

როცა ჩემს ირგვლივ მოფრესკებულ სურათებს ვხედავ,

მე სხვათა ირგვლივ, სხვები — ჩემს გარეშე.

როცა ვხედავ, რომ იმ ტომრიდან,

სადაც გადატყავებული თითებით

მდინარის მოტანილ ნაფორტებს ვაწყობდი,

ახლა გველები მიღიმი და ისე მოხვენენ,

მუხლის კანკალით მოვიგდო ტომარა მხარზე,

ნელში გავიმართო

და შემრცხეს,

როცა ქუჩაში რომელიმე კაცი შემხვდება,

რომელიც ზუსტად ისე მიყვარს,

როგორც ბავშვს, რომელსაც ჰკონია,

ყველა კაცი თმაზე გადაუსვამს ხელს.

ძვირფასო მეგობარო, იქსო,

ბავშვობაში კარაქიან პურს ჭამდი?

იქნებ აღმინერო მისი გემო.

თუ ჰგავს ის ტყემლის ყვავილებით მორთულ

ქვიშის ნამცხვარს,

